საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

სამუშაო შეხვედრები პარლამენტარებთან საპარლამენტო ზედამხედველობის თემაზე

საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით, 2018 წლიდან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საკანონმდებლო ორგანოს მიერ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საზედამხედველო მექანიზმებს შეისწავლის. პროექტ „უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაძლიერების“ ფარგლებში, 1-2 და 8-9 თებერვალს საიამ გასვლითი სამუშაო შეხვედრები გამართა პარლამენტის ოპოზიციონერ დეპუტატებთან, სადაც წარადგინა მიმდინარე კვლევისა და მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი მთავარი გამოწვევები და რეკომენდაციები, რომლებიც საპარლამენტო ზედამხედველობის ეფექტიანობის გაზრდას ემსახურება.

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

ორგანიზაცია კიდევ ერთ მგავს შეხვედრას უმრავლესობის წარმომადგენლებთან გეგმავს.

პროექტის ფარგლებში, საია შეიმუშავებს კომპლექსურ დოკუმენტს, რომელიც შეაფასებს, განსაკუთრებით, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის გახორციელების მიდგომებს, მეთოდებს, პროცედურებს და გასცემს რეკომენდაციებს მათ გასაუმჯობესებლად. პროექტის დასრულებამდე კი, იხილეთ საიას მკვლევარების, ანა ჯაბაურისა და თორნიკე გერლიანის ბლოგ-პოსტები მონიტორინგის პერიოდში გამოვლენილ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

- ინტერპელაცია ქართულ კონტექსტში: მოლოდინები და იმედგაცრუებები
- უპასუხო კითხვები და სხვების პასუხები პარლამენტში
- „კონსტრუქციული პარლამენტი“, ანუ სად დაიკარგა პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება
- სამთავრობო საათის უქონლობის საკითხისთვის